საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 219 ხუთშაბათი, აპრილის 12 (25) 1918 წ. № 219

სახალხო საქმე

19

მთავარი კომიტეტის ორგანო

სამხედრო მოქმედება კავკასიის ფრონტზე შეჩერებულია: ოსმალეთის მთავრობამ უკვე უბრძანა თავის მთავარ-სარდალს შესწყვიტოს საომარი მოქმედება.—ჩვენმა ჯარმა ოსმალოები ოზურგეთიდან ექადიას მთამდე გარეკეს.—ნოტანების ბრძოლაში 8 აპრილს ჩვენებმა 500 ოსმალო მოჰკლეს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მანე., 20×2 ღირს 12 მან., 6 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ყ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა") ბარათის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება: ინახება ვრცელი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Саксмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

ღრმად დამწუხარებულნი: ალექსი, სიმსიმე, გიგო, მარიამ, ლათიკო, ვალენტი და მარო დვალი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ელპიტა ექვთიმეს ასული

ფარჯანაძე.

1142.

ქართული კლუბი

კვირას, 15 აპრილს, 1918 წ.

სადღესასწაულო წარმოდგენა

ვ. ა. აბაშიძის 40 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად

გაიმართება ორი წარმოდგენა

დილით **პეპო** კომედია 3 მოქმედ. გ. სუნდუკიანცისა.

საღამოთი **ნამუსისათვის** პიესა 4 მოქ. შირვანზადესი.

მონაწილეობენ ძველი და ახალგაზრდა მსახიობნი. პიესებს სდგამენ ა. წუწუნავა და კ. შათირიშვილი. ◆ ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1071

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა. ტელეფ. 19—00.

დღეს 12 აპრილს გაიმართება

დიდი წარმოდგენა

3 განყოფილებით და 18 ნომრით. მრავალი ახალი სანახაობა. „იაპონური ხარაკირი", „საიდუმლო ყუთის გაღება" და სხვ. მონაწილეობენ იამოდა-სანი, მფრინავი ადამიანები დე-ლაკაზო, ელიზაროვი, ვინჩენკო, ალვინასი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. დასასრული 11 საათზე. 426

განცხადება

მიწადმოქმედების მინისტრის კანცელარია აცხადებს, რომ 18 მარტს, შუადღის 12 საათზე, ბაკურიანის ფერმაში, რომელიც ხის ჯვარში იმყოფება, დანიშნულია კარგი ჯიშის ჯოგის გაყიდვა, რომელიც ბორჯომის სახელ. ეროვნულ მამულს ეკუთვნის. ვაჭრობა დაიწყება იმ ფასიდან, რომელიც ქვემოდ არის აღნიშნული:

1.	№ 100—ვარია	450 მ.	11.	№ 162—სერნა	300 მ.
2.	№ 9—ლასკა	400 „	12.	№ 15—ლიხდა	350 „
3.	№ 147—ფილმა	450 „	13.	№ 102—ლიუბოჩკა	300 „
4.	№ 114—სენტა	450 „	14.	№ 104—ლეონორა	350 „
5.	№ 123—აზრა	350 „	15.	№ 97—პიონერკა	400 „
6.	№ 95—რახილ	300 „	16.	№ 86—ჩერნიჩკა	300 „
7.	№ 16—კიტაიანკა	450 „	17.	№ 35—„ნეგრიტიონკა"	450 „
8.	№ 44—ლან.	600 „	18.	№ 159—თამარ	350 „
9.	№ 118 ტიპორა	300 „	19.	№ 106—ძალა	350 „
10.	№ 31—„რიჟენკა"	300 „	20.	№ 32—ირიშა	600 „

ამათ გარდა იყიდება 5 ხბო და ერთი მოზვერი (10 თვის—1 წლ.) დაფასებულია 200 მ. თითო. ვინც ვაჭრობაში მონაწილეობას მიიღებს ნახევარი საფასური ვაჭრობის გათავებისას უნდა შემოიტანოს დაუყოვნებლივ, ხოლო დანარჩენი ნახევარი 3 დღის შემდეგ. ნაყიდი საქონელი ვალდებულია წაიღოს 3 დღის განმავლობაში დღიდან ვაჭრობის წარმოებისა. თუ მყიდველი დაარღვევს ზემო აღნიშნულ პირობებს, ვაჭრობაც დარღვეულია და შეტანილი ფული ხაზინას გადაეცემა.

ვაჭრობას აწარმოებს ბორჯომის მიმღები კომისიის თავმჯდომარე

4111 შ. ითხელიანი.

მომხ. საზოგ. **„მოსავლის"** წევრების საყურადღებოდ

ტფილისის გაზეთებში განცხადებაა მოთავსებული მოსამსახურეების საბჭოსგან, რომ კვირას, 8 აპრილს დანიშნულია საზოგადოების კრება. საზოგ. წევრების ძალით მოწვევას უფლება აქვს მხოლოდ გამგეობას, რომელიც მოიწვევს 15 აპრილს. ადგილი კრებისთვის ცალკე იქნება გამოცხადებული.

12 **გამგეობა.**

ქართ. დრამატიულ ახალ დასისთვის სუფლიორის თანამდებობაზე

საჭიროა ინტელიგენტი საშუალო სასწავლებელ გათავებული ქალი, რომელიც სრულიად თავისუფალი უნდა იყოს სხვა საქმისაგან.

ქართ. დრამატ. საზოგ. კანტორა ღიაა 10—2 ს. და 4—6-დე, გოლოვინის პროსპექტი № 11. 1127

აგარაკი წაღვერი

(ბაკურიანის რკინის გზა, ბორჯომიდან 12 ვერსზე)

პანსიონი ელისაბედ მღებრიშვილისა

(მეთორმეტე სეზონი)

პანსიონი მოთავსებულია ახლად აგებულ შენობაში, მაღლობ და განცალკევებულ სუფთა ადგილას, ფიჭვ ნაძვნარში, ყოველივე მოწყობილობით. პანსიონთან იმყოფება ექიმი, არის საგანგებოდ გამოყვანილი სწყაროს წყალი. არის **ვანები**, პიანინო და სხვ... სახლიდან მოსჩანს საუცხოვო სანახაობა...

აგრეთვე წაღვერში მომდინარეობს მეტად სასარგებლო მჟავე (რკინის) წყალი.

პირობების გაგება შეიძლება თვით წაღვერში: **Цагвери (черезъ Боржомъ) Елизаветѣ Яковлевнѣ Мгебришвили.**

ქართველთა სამხედრო კავშირის ცენტრალური კომიტეტი

ცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ კომიტეტის ჩვეულებრივი სხდომები იმართება ორშაბათს და ხუთშაბათს საღამოს 7 საათიდან ქ. ს. კ. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

ტფილისი, 12 აპრილი 1918 წ.

აკაკი ჩხენკელის მთავრობა. გეგეჭკორის მთავრობა ომის მთავრობა იყო, აკაკი ჩხენკელის მთავრობა—ზავისა. გეგეჭკორის მთავრობას ჰსურდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა და, თუ დამარცხდებოდა, დამარცხებულიყო იმ მიზნებისათვის, რომლებიც დასახული ჰქონდა რუსეთს. გეგეჭკორის ომი იყო ომი რუსეთისთვის მაშინ, როდესაც თვით რუსეთი აღარ ომობს. აკაკი ჩხენკელის მთავრობა არის მთავრობა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა. პროგრამა ამ მთავრობისა, რა თქმა უნდა, საზოგადო შტრიხებით, ასეთია: დამოუკიდებლობის გამოცხადება, ცდა ზავის ამოსავლებად და ბრძოლა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისთვის, თუ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. აკაკი ჩხენკელის პროგრამით ამიერკავკასიაში ასპარეზზე უნდა გავიდნენ ამიერკავკასიის ერნი თავიანთი საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად. სხვა რამ აკვიატებული, სხვის მიერ კისერზე მოხვეული მიზანი არ უნდა ჰბორკავდეს ამიერკავკასიის ერთა ნებისყოფას და მათს ცდას საკუთარი სახელმწიფოებრივი წესწყობილების შექმნისას.

მიზანი ფრიად დიდი და ძნელი განსახორციელებელია. ამ დიდს მიზანს წინ გადაელობება არა მარტო ობიექტიური დაბრკოლებანი რუსული ნაციონალიზმის სახით, არამედ თვით ამიერკავკასიის ერთა ფსიხიკაც, რომელიც შეჩვეული არ არის დამოუკიდებლად მოქმედებას და დამოუკიდებლად სახელმწიფოს მართვა-გამგეობას. საჭირო გაჰხდება ერთის მხრით შინაური ურთიერთობის მოწესრიგება, გამიჯვნა ეროვნებათა, მათი ინტერესების შეთანხმება; მეორეს მხრით განსაკუთრებული სავაჭრო, ფინანსიური და პოლიტიკურ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება სხვა სახელმწიფოებთან. დღემდის ამიერკავკასია რუსეთის საშუალებით უკავშირდებოდა ევროპას, ეხლა კი პირდაპირ უნდა დაუკავშირდეს მას და პირდაპირი კავშირი დაიჭიროს სახელმწიფოებთან. საჭირო გახდება მთელი რიგი ხელშეკრულობათა დადებისა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მოსაწესრიგებლად, ომის შედეგების ლიკვიდაცია და სხვა.

შემცდარი იქნება ის, ვინც იფიქრებს, რომ ამიერკავკასიის ერთა მიერ არჩეული გზა ადვილი გზაა. არა, იგი მეტად მძიმე ტვირთია ჩვენთვის, მაგრამ ამავე დროს ერთად ისეთი ტვირთია, რომლის ზიდვას ახალი მომავლისკენ მიჰყავს ამიერკავკასია.

ჩვენ მუდამ იმას ვამბობდით და ვამტკიცებდით, რომ გარეშე ამიერკავკასიის ერთა სოლიდარობისა არ არსებობს ხსნა ამიერკავკასიის ერებისა. ამიერკავკასიის სახელმწიფო ერთა სოლიდარობის საფუძვლად უნდა გადაიქცეს. მან უნდა დაუღალავად შეაკავშიროს ამიერკავკასიის ერები, რომლებიც ძმური თანამშრომლობით შექმნიან ამიერკავკასიის სახელმწიფოს.

აკაკი ჩხენკელის მთავრობამ სწორედ ეს მძიმე ტვირთი იდო კისრად; სწორედ ეს ახალი ჰორიზონტი გადაუშალა ამიერკავკასიის ერებს. და თუ მთავრობის ცდა უნაყოფოდ დარჩა, თუ იგი ძლევამოსილი ვერ გამოვიდა, ეს იმის მომასწავებელი კი არ იქნება, რომ ყალბია ის მიზანი, რომელიც აკაკი ჩხენკელს აქვს დასახული, არამედ მხოლოდ იმისა, რომ ამიერკავკასიის ერნი მომზადებულნი არა ყოფილან დამოუკიდებელი არსებობისთვის და მათი ხვედრიც მხოლოდ ისა ყოფილა, რომ მუდამ დიდი სახელმწიფოების სათამაშო ბურთად იყვნენ გადაქცეულნი.

თავისუფლება და დამოუკიდებლობა ისეთი ძვირფასი განძია ყოველი ერისთვის, რომ არ შეგვიძლიან უბრძოლველად დავთმოთ იგი. მთელის ჩვენის ძალღონით დავეხმარებით აკაკი ჩხენკელის მთავრობას, ვეცდებით მოახერხოს და გაანაღდოს დასახული მიზნები: თუ თავისუფლების მტრები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, ჩვენ მზად ვართ დავიხოცოთ თავისუფლებისთვის ბრძოლაში.

შინაგანი მთლიანობა

იმ დიდი პრესპექტივის წინაშე, რომელიც გადაიშალა ჩვენს თვალწინ, აუცილებლად საჭიროა დამყარდეს სრული შინაგანი მთლიანობა, ე. ი. შინაური ფრონტი გაერთიანდეს. საჭიროა ფრონტის გაერთიანება უპირველეს ყოვლისა ეროვნულის თვალსაზრისით. დღემდის აქ ისეთი მდგომარეობა იყო შექმნილი, რომ ბოლშევიკების აგრესიული მიზნების წინაღმდეგ ჩვენში მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტია გაერთიანებული იყო. ცოტაოდენ ეჭვებს იწვევდა მხოლოდ „დაშნაკცუთიუნის" პარტია, რომლის ერთი ნაწილი აქ, ტფილისში, სხვა სოციალისტურ ორგანიზაციებთან ერთად თანამშრომლობდა, მთავრობაშიაც ჰყავდა წარმომადგენელი, მაგრამ მისი მეორე ნაწილი კი ბაქოში ბოლშევიკებს მიეხმარა. მაგრამ ამ ბოლო დროს ეს ეჭვიც უნდა გაიფანტოს. დაშნაკცუთიუნის პარტიამ სეიმში განაცხადა, რომ იგი სავსებით იზიარებს სეიმის აზრს და ერთობა ამიერკავკასიის გამოცხადებას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ამ განცხადებას სეიმი მხურვალე ტაშით შეხვდა და ამ ტაშით მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ ამიერიდან უნდა მოისპოს ყოველივე ის ეჭვები, რომლებიც დღემდის არსებობდა ამ პარტიის შესახებ. სომხების უდიდესმა პარტიამ სწორედ [illegible] ძალთა განწყობილებას და დაინახა, რომ ძველებურ პოზიციაზე დგომა გამოიწვევდა საბედისწერო იზოლიაციას სომხის ერისას, რომლის ფიზიკური არსებობაც დიდს განსაცდელში ჩავარდებოდა.

სომხის ერმა არ მოინდომა ამიერკავკასიის ერთა ძმური კავშირიდან გამოსვლა და ამით ბოლო მოუღო იმ რყევას, რომელიც პარტიაში არსებობდა. განცხადება ავლენს. იმ განცხადების შემდეგ, რომელიც დაშნაკცუთიუნის პარტიის წარმომადგენელმა წარუდგინა სეიმს, უნდა მოისპოს პარტიის ის რყევა, რომელიც დღემდის მას ახასიათებდა. აღარავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ მიუხედავად ბოლშევიკების მყვირალა ფრაზისა ეროვნული თვით-გამორკვევის შესახებ, პარტიული ქიშპობით დაბრმავებული ბოლშევიკები ყველგან ცდილობენ ძალით მოახვიონ ხალხს კისერზე თავიანთი ნების ყოფა ასე მოიქცნენ ბაქოშიც, სადაც იარაღით ხელში მოახვიეს კისერზე თავიანთი სურვილები მცხოვრებლებს. ბოლშევიკები განაგრძობენ თავიანთ მოქმედებას და, მსგავსად ნიკოლოზ რომანოვისა, „პყრობენ" იმ ადგილებს, რომლებიც მათ არ ემორჩილებიან. ამ დაპყრობის დროს მათ ხშირად ზურგს უმაგრებენ ისეთი კონტრ-რევოლუციონერები, რომელთაც საზოგადოდ სძულთ და ეზიზღებათ ყოველივე ეროვნული განთავისუფლება პოლიტიკური მონობისაგან. საუბედუროდ ბაქოში ბოლშევიკების ამ ახალი თვისების იმპერიალიზმს მხარი დაუჭირა დაშნაკცუთიუნის პარტიამაც, რომელსაც, ალბათ, ჯერ გამორკვეული არა ჰქონდა მთავარი პოლიტიკური საკითხი ამიერკავკასიის ყოფნა არ ყოფნისა.

დღეს კი, როდესაც ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდა და ამიერკავკასია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს ზემოხსენებული პარტიის რყევას.

ამასთანავე ერთად ზომები უნდა იქმნას მიღებული, რათა მაჰმადიანური ნაწილი ამიერკავკასიისა გაეცნოს იმ პოლიტიკურ სიტუაციას, რომელიც უკვე შეიქმნა ამიერკავკასიაში. მაშინ შეიძლება ადვილად მოისპოს ის ექსცესები, რომლებიც ჯერ კიდევ ხდება ამიერკავკასიის ნაწილში და გადაიშალოს ახალი ჰორიზონტი ამიერკავკასიის ერთა მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის.

არ. ჯაჯანაშვილი.

პოლიტიკური მელანქოლია

რუსეთი და საქართველო ერთ პოლიტიკურ წყობილებას განიცდიდნენ ფორმალურად, თვითმპყრობელობა სტანჯავდა როგორც ქართველ ერს, ისე ველიკორუსებს. რუსეთის სივრცეზე ისე საკმაოდ სჩანდა ქართული სიდუხჭირის ხაზები, რომ ამ ერთობის ნიადაგზე მთელი რიგი საერთო პოლიტიკური ორგანიზაცია იქმნებოდა, ამლაც კი არსებობს ქაღალდზე მაგალითად **რუსეთის** სოციალ-დემოკრატიული პარტია, ქაღალდზედვე რუსეთის საკოოპერაციო კავშირი და სხვა ანალოგიური დაწესებულება.

მაგრამ რუსეთის საზოგადოებრივი და განსაკუთრებით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრება ძალიან ბლომად იძლეოდა აგრეთვე სხვა შეფერებისათვის სიცოცხლის მასალას. ველიკორუსულ მთავრობის პოლიტიკა არასოდეს არ ყოფილა ამავე დროს საერთო პოლიტიკა. უმცირესობა მუდამ სჯაბნიდა უმრავლესობას, ერები იჩაგრებოდნენ ეკონომიურად, კულტურულად, ნაციონალურად. ამ მდგომარეობამ რუსეთში ორი ხასიათი შეადგინა, ორი სულისკვეთება, რომელსაც სრულიად თავისებური ფსიქოლოგია, ტრადიცია, ზნეობა და პოლიტიკა ახასიათებდა. გაბატონებულ ველიკორუსის იდეოლოგია ყველთვის იმპერიალისტური იყო, დამონავებულ ერების კი ეროვნულ-სოციალისტური. ველიკორუსი სხვას იმონებდა, სუსტთა ნებულ ტკივილებს არ განიცდიდა, ამა-

ტომაც არ არსებობდა მისთვის განსაკუთრებული ხასიათის ეროვნული რომანტიზმი, ეროვნული მელანქოლია. დამონავებულ ერებში, პოლონეთში, ფინლიანდიაში, უკრაინაში, ლიტვაში... გროვდებოდა სიძულვილი იმპერიალიზმისადმი და ერები უცდიდნენ ახალ მომენტს ეროვნულ სიტყვის წამოსათქმელად.

ამ ორ მდგომარეობის წარმოდგენა გვგება, იქიდან მიღებულ სამოქმედო პოლიტიკის შესწავლა განსაკუთრებით დღეს გვესაჭიროება ყველას, რათა შემოქმედების საფუძვლად ის დახავსებული და გამტყუნებული პოლიტიკა არ მივიღოთ, რომელმაც დაღუპა ბუმბერაზი სახელმწიფო—რუსეთი.

ხშირად გვეუბნებიან, რომ რუსეთის დანგრევა თვითმპყრობელობის ბრალია. რასაკვირველია ეს მართალია. მაგრამ რუსეთის დანგრევას მარტო თვითმპყრობელობას ვერ მივაწერთ. სამასი წლის განვალობაში თვითმპყრობელობა არსებობდა, არა ერთი და ორი ომი განუცდია, გამარჯვებაც, დამარცხებაც, მაგრამ არავის არ უნახავს ის საზარელი სურათი ველურობისა, გახრწნილებისა, უბედურობისა, რომლის მოწამე ვართ ყველანი.

თვითმპყრობელობა დამარცხდა 1917 წელს. ეს იყო დამარცხება ძველი პოლიტიკისა, ხალხი მოითხოვდა ახალ პოლიტიკას რათა თვითმპყრობელობის შეცდომები გაესწორებია და ქვეყანა განსაცდელიდან დაეხსნა. დემოკრატიამ მართლა გაიმარჯვა, მაგრამ სახელმწიფოს და სამშობლოს კეთილდღეობამ კი არ გაიმარჯვა—არამედ დამარცხება იგემა.

დემოკრატიამ არა თუ არ შეაჩერა რღვევა რუსეთისა, ჩვენ გვგონია, რომ ისეთ გაოხრებას, საშინელებას და სიმხეცეს არ მივიღებდით არც ერთ პოლიტიკურ წყობილებაში, არც ერთ დამარცხების შემდეგ, რომ სახელმწიფოს სათავეში მოქცეოდა სხვა ძალა, გარდა რუსეთის დემოკრატიისა.

თანამედროვე ომმა და რუსეთის რევოლიუციამ საშინელი სურათი გადაუშალა კაცობრიობას. ეს სურათი რუსეთის დემოკრატიის სიწამხდურის და უბედურების სურათია. არსებობს რუსეთის დემოკრატია, მაგრამ არ არსებობს დემოკრატიული მორალი, დემოკრატიული აზრი და სიტყვა რუსეთში. ლენინმა აღარ იცის დღეს სად იწყება და სად თავდება რუსეთი, რაზე და ვისზე აქვს მას უფლება, გავლენა. აღარ არსებობს სამართალი, უფლება, პატივისცემა, სიტყვა, მიმოსვლა, ცხოვრება.

რუსეთის დემოკრატიის დამარცხება დემოკრატიულ მსოფლიოსათვის უდიდესი საწყენარო მოვლენაა. დემოკრატიის მტრებმა მიიღეს მრავალ წლის საკვები მასალა დემოკრატიის გასაწბილებლად, მაგრამ ამ მოვლენაში ბევრი რამ არის ისეთი, რაც ეხლავე უნდა აღინუსხოს და რაც გამოსავალს აძლევს დემოკრატიას.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ რუსის დემოკრატია აღიზარდა სხვა ერის დამონავების წიაღში, მან მრავალი თვისება შეითვისა იმპერიალიზმისა, მისთვის არ არსებობდა შიში ეროვნულ თავისუფლების დაკარგვისა, მას არ ესმოდა ეროვნული პოზიცია, საჭიროება ეროვნულ თავდაცვისა და როცა რუსეთისათვის საჭირო შეიქმნა ეროვნულ ფრონტის შექმნა, მამულის დაცვა, რუსეთის ხალხი ცხვრის ფარას დაემსგავსა, მამულს ზურგი შეაქცია და სახელმწიფოში გაამეფა ძარცვა-გლეჯა, ხოცვა-ჟლეტა.

არსებობს დღეს რუსეთში ეროვნება, ერი, ეროვნული სახელმწიფო?—არა მკითხველო. ვისაც ეგონა, რომ ეროვნებას აკავშირებს მანქანა და ორთქლი, ტყვია და წამალი—ის გაკოტრდა სამუდამოდ. რუსეთში დიდძალი საომარი მასალაა დღეს, ხალხიც არის, თითქმის ყველაფერია თავდაცვისათვის, მაგრამ რეზოლიუციებისა და ხეტიალის მეტი არაფერია. იმიტომ, რომ დემოკრატია არსებობდა ეროვნულ შემეცნების გარეშე და როცა ეს დემოკრატია დაეყრდნო თავის ძალას—ის გაკოტრდა სამარცხვინოდ.

რუსეთის მაგალითი ჩვენთვის, საქართველოსათვის შესანიშნავი მაგალითია. ჩვენ სამუდამოდ უნდა შევითვისოთ ის აზრი, რომ აღარ შეგვიძლია არა თუ მარტო ცხოვრება რუსეთთან, რუსეთისათვის მოქმედებაც და აზროვნებაც არ შეგვიძლიან.

საქართველოში იყო ხანა, როცა თითქოს მტკიცდებოდა რუსეთის მაგალითი. სოციალ-დემოკრატიული საქართველოც ისევე მოუმზადებელი გამოდგა ცხოვრებისათვის, როგორც სოციალ-დემოკრატიული რუსეთი. ჩვენ ხშირად გვეუბნებიან, რომ საქართველო და ქართველი ერი უმთავრესად სოციალ-დემოკრატიას მიყვება. ეს მართალიც არის, მაგრამ ამავე დროს მართალიც არ არის. ქართველი დემოკრატია სოციალ-დემოკრატიას მიჰყვება როცა სახელმწიფოს რომელიმე მოვალეობის მოხდა არ არის სასურველი სახელმწიფოებრივ ძალის დაუძლურებაში ხალხი მართლა მისდევს სოციალ-დემოკრატიას. როცა სამხედრო ბეგრიდან თავის დაღწევა საჭირო, როცა გადასახადი არ უნდა გაიღონ, როცა მამულების დანაწილებაა, მაშინ სოციალ-დემოკრატიას ხალხი მართლა მიყვება, მაგრამ შემოქმედების დროს, აღმშენებლობითი პოლიტიკის ხანაში სოციალ-დემოკრატია გარიყულია და ხალხი მას არ უჯერებს.

საქართველოა ამ დებულების საუკეთესო დამახასიათებელი. ჯარის გაწვევის დროს სოციალ-დემოკრატიას ხალხი ერთნაირად არ მიყვა და საშინელი კუთხური პატრიოტიზმი გამოჩნდა. არც იარაღის და ფულის მობილიზაციაში, არც წესიერების დაცვაში სოციალ-დემოკრატიას დემოკრატია არ გაჰყვა.

გვახსოვს, სოციალ დემოკრატები გვეუბნებოდნენ: სოციალისტ-ფედერალისტები დაქსაქსავენ ხალხს და კუთხურ ნაციონალიზმს გაამეფებს მათი მოძღვრებაო. დღევანდელმა ომმა საუკეთესოდ დაგვიმტკიცა, რომ სწორედ სოციალისტ-ფედერალისტთა მოძღვრება იწვევს საქართველოს ყოველ კუთხის და ჯგუფის გაერთიანებას, რომ სოც.-ფედერალისტთა დროშით ქიზიყელი და ქართლელი, თუშისა და ფშავის ახნაგები გურულებსავით თავგანწირულად დაიცავენ გურიას და ისე სხვა მხარეს.

დღეს ამიერკავკასიის წყობილება შორდება რუსეთის ძველ წყობილების სახეობას. უკვე გამოცხადებულია ამიერკავკასიის ფედერაცია. მართალია ფედერაცია რუსეთშიაც გამოაცხადეს, მაგრამ ჩვენში დღესვე უნდა მოხდეს ფედერალურ კონსტიტუციის შედგენა და ეროვნულ-სოციალისტურ მოტივების საშუალებით მთელ სახელმწიფოებრივ მექანიკის ორგანიზაცია. ჩვენ ეს პერსპექტივა მიგვაჩნია ახალ საქართველოს შექმნის პირობად, როდესაც ხალხი დაინახავს და იგრძნობს სამშობლოსაც, ერსაც და სახელმწიფოსაც.

საქართველო ისე არ გახრწნილა საფუძვლიანად, როგორც რუსეთი, ეს იმიტომ, რომ საქართველო ყოველთვის განიცდიდა ეროვნულ შევიწროებას და ძალუმად, მკრთალად, მაგრამ ჩვენში მუდამ იყო ის ეროვნული გრძნობა რომელიც არ არსებობდა რუსეთში. რევოლიუციის დროს ეს ეროვნული გრძნობა ქართველ ხალხში გაიზარდა და სწორედ ამ შემეცნების ძალამ გადაარჩინა საქართველო რუსეთისავით გახრწნას და სივაგლახეს.

ეროვნულ-სოციალისტური პოლიტიკა, პოლიტიკა სხვა ერის პატივისცემისა და საკუთარი მართველობისა—აუცილებელი გზაა კულტურისა, პროგრესისა. ამ გზას დღეს დაადგა ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც აკაკი ჩხენკელს მიანიჭა სათანადო სამინისტროს და კონსტიტუციის შედგენა.

იყვნენ ჩვენში რუსეთის იმპერიალიზმით და ანაციონალიზმით გაჟღენთილი ადამიანები, რომელნიც რუსეთიდან საქართველოში ცდილობდნენ რუსულ შემოქმედების გაჩაღებას. სხვა და სხვა შავგვრემან აზრის შავგვრემანი ადამიანები ამ ცდაში დამარცხდნენ ჩვენში, ხალხი და ძალთა პოლიტიკური სინიდისი მათ არ გაჰყვა და საწინააღმდეგოდ აღიარა ეროვნულ-სოციალურ პოლიტიკის პრინციპები. ამ ძალთა დამარცხება პირველი გარანტიაა საქართველოს აღდგენისა და სიცოცხლისა.

ჩვენ ვიცით, ეს ადამიანები კიდევ არ მოისვენებენ თავიანთ დანგრეულ სავარძელში, ბევრნი არიან კიდევ, რომ სეიმის ისტორიული გადაწყვეტილება, გადაწყვეტილება საქართველოს აღდგენისა ისეთ გადაწყვეტილებად გარდააქციონ, როგორადაც დარჩა ლენინის რეზოლიუცია და დეკლარაცია სოციალიზმის განხორციელებისა რუსეთში, ან ფედერაციის შემოღებისა.

ამათთვის ათასგვარი პლანი და საშუალება იქმნება საამისოდ. ზოგი შეეცდება ამიერკავკასიის ფედერაცია ისევ ცენტრალიზმით გამსჭვალონ, ზოგიერთი ისევ შორეულ ყუთში გადასდებენ ეროვნულ მთავრობების შექმნას, ეროვნულ პარლამენტების შედგენას, ახალ საამისო კანონიერ არჩევნებს, მაგრამ ჩვენ გვწამს პოლიტიკური სინდისით აღჭურვილი ეროვნულ-სოციალისტური პარტია რაკი რუბიკონს გადალახულია, აღარ დაიწყებს მიკიბულ-მოკიბულ მსჯელობას და საბოლოოდ იტყვის და შეაკეთებს რაც საჭიროა ჩვენი არსებობისა და კეთილდღეობისათვის.

ვნახოთ ვინ როგორ დაეხმარება ჩვენს ქვეყანას ამ დიდ საქმეების გაკეთებაში.

თედო ღლონტი.

ჩვენს გარშემო

ფედერატიული რესპუბლიკა გამოცხადდა. ეს ისტორიული აქტი ფარავს დღემდე გამოცდილ ყველა აქტს რევოლიუციის ხანაში. ამ დიდი, ისტორიული აქტის გარშემო ადგილობრივ დიდი ბრძოლა სწარმოებდა ხალხის ძალთა შორის, მაგრამ უკიდურეს გაჭირვების დროს ამიერკავკასიის ერებმა ფედერატიულ წყობილებას მიანდვეს საკითხების გადაჭრა და მოგვარება.

გაამართლებს თუ არა ფედერაცია ამიერკავკასიის ერების იმედებს?—ამ საკითხის პასუხს მომავალი მოგვცემს. თუ ჩვენ არ დავამახინჯეთ ფედერაცია ჩვენი სიუძლურით, თუ ჩვენ არ მოვაკელით მას ძალა, ხელოვნურად არ გავაკოტრეთ, უეჭველია ფედერაცია დააგვირგვინებს ერების კეთილ მოლოდინს.

ეს იმედი არ არის მარტო ჩვენი იმედი. ეს მთელ ამიერკავკასიის ერების იმედია. აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის გამოცხადება თითქმის ერთხმად გადაწყდა, ისტორიული აქტი მივიღეთ როგორც ფრიად მომწიფებული მოვლენა, რომლის მიღებისათვის მხოლოდ ხელის ერთი გაქნევა და სათანადო ფორმულის შესრულება გახდა საჭირო.

ჰაღარა ტფილისი თბილად, სიხარულით შეეგება ამ აქტს. არავითარ უსიამოვნო გამოსვლას არ ქონია ადგილი. თვით სეიმის კრება საერთო ალტაცების ცეცხლში იყო გახვეული. მთელი ტფილისის მოწინავე საზოგადოება სასახლეში იყო ფედერატიულ რესპუბლიკის გამოცხადებისას; აკლდა მხოლოდ დარცხვენილი ჟორდანია და წერეთელი, რომლებიც უხერხულად გრძნობდნენ თავს იმ კრებაში მონაწილეობას, რომელიც ქედს მოიგრეხ და ფედერაციის მოძღვრების წინაშე.

— ათეული წლები ებრძოლეს ფედერაციას და დღეს ხელი მოაწერეს ფედერაციის გამარჯვებას. დიახ, ცხოვრებამ მიიყვანა ამ მომენტამდე ჟორდანია-წერეთლების პარტია, რომელმაც ტვინის ძალით დღემდე ვერ შეიგნო ფედერაციის ასეთი ძლიერება.

მაგრამ ეს ინერტული ელემენტები მხედველობაში მისაღები არ არის ამ წუთში. ჩვეულება, ცხოვრების მსვლელობა გაალხობს ამ გაბუტულ ადამიანების გრძნობას და ისინიც ჩაერევიან ფედერაციის ფერხულში.

აქ აღსანუსხავი მხოლოდ ერთი ელემენტის სისინია. როცა ამ ელემენტის სულისკვეთებას ვითვალისწინებთ, ჩვენ სიბრალულის გრძნობა გვიტაცებს ამ ძალებისადმი. ჩვენ ვამბობთ რუსებზე.

პოლიციაში, ჟანდარმერიაში და საკოლონიზაციო სამართველოში გამოზრდილი ადამიანები დღეს ერთის მხრით გვიგალობებენ სულთათანას, ჩვენ ეს ოდნავადაც არ გვაკვირვებს. მართალი გითხრათ, მათგან კიდევ მეტს მოველოდით, ეხლა კი მხოლოდ გაზეთში სისინებენ. განა არც ეს ქმნან?

ესერები და კადეტები კეთილად მაშინაც არ გვეპყრობოდნენ, როდესაც კისერზე გვაჯდნენ, განა ეხლა გამოგვეცხადებდნენ სიყვარულს?

გვინდა მხოლოდ ზოგიერთი რამ მოვიგონოთ ამ ადამიანების მოღვაწეობიდან, რომელნიც არა თუ სამწუხაროა მხოლოდ, ძალიანაც სასაცილო.

რუსის სოციალისტ-რევოლიუციონერების გაზეთი—„ზნამია ტრუდა" დღეს საყოველთაო რეფერენდუმს მოითხოვს ამიერკავკასიის სახეობის გამოსარკვევად. ალბად რეფერენდუმის იმედი აქვს „ზნამია ტრუდას" და თუ იმედი არ აქვს, განა რეფერენდუმის მარტო აქტი საქმეს გამოაბრუნებს? თუ რეფერენდუმის აქტი საქმის გასაჰიანურებლად არის მოგონილი, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ „ზნამია ტრუდა" იწვევს ჩვენში პროვოკაციას და პროვოკატორებს ისე უნდა მოეპყრათ, როგორც პროვოკატორებს ყველა მოეპყრობა.

არჩევნები და ესერები! განა დამფუძნებელ კრების არჩევნებმა არ დაგვანახა ამ პარტიის სრული სიკოტრე? და ეხლა? ესერები ელემენტები მასობრივად გარბიან ჩვენი ქვეყნიდან, რუსის სალდათები გაიქცნენ სამარცხვინოდ, გაიტაცეს ჩვენთვის სასიცოცხლო მასალა—ტყვია-წამალი და ვინც დარჩა ის აპირებს გოლოვინის პროსპექტზე სეირნობას და არა ბრძოლას ამიერკავკასიის თავისუფლებისათვის. ნუ თუ ეს ელემენტები მართლა ფიქრობენ, რომ ჩვენი ხალხი მათ სიყვარულით შეხედავს. მართალი უნდა ვსთქვათ: რუსის სოციალისტ-რევოლიუციონერებმა სამარე გაუთხარეს მთელს ამიერკავკასიაში საზოგადოდ სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიას და ამ სამარეს ვერავითარი ძალა ვერ შესცვლის ჩვენში.

ძალიან დამახასიათებელია ამ ხალხის როლი. თვითმპყრობელობის დროს რუსები ღალატობდნენ ჩვენი ხალხის თავისუფლების იდეას, და ისინი რევოლიუციის დროსაც გამოვიდნენ მოღალატეების როლში. გვიპასუხონ ერთი რუსების ძალებმა—როდის არ გვღალატობენ ისინი?

ამ ჟამად ამიერკავკასიაში არავის არა ყავს მონათესავე ესერებს გარდა ერთი ნათესაური ჯგუფისა—რუსული გაზეთისა რუსის კადეტებისა. მათ შორის დღეს ყოველგვარი წინააღმდეგობა წაიშალა, დარჩა მხოლოდ ერთი—ორივე ეს ჯგუფი რუსია და სიტყვასიტყვით ერთნაირად მსჯელობენ.

„ვოლნოე უპრავლენიეს" ხალხს გონია, რომ ამიერკავკასიაში მხოლოდ ისინი არიან რევოლიუციონერები და თამამად ქადაგებენ ბოლშევიკებთან კავშირს, რომლებმაც რუსეთი დაანგრიეს და ბაქოც მოსრისეს. ბოლშევიკებისადმი ის პარტიაც მიგვიწოდებს, რომელსაც კოკოშკინი და შინგარიოვი მოუკლეს პეტერბურგში.

ამათ გონიათ, რომ ბოლშევიკების გაბატონება სჯობია ჩვენში სხვა რომელიმე ძალის გაბატონებას და თვით დამოუკიდებლობასაც კი. მაგრამ ამ წმინდა წყლის ხულიგნებს ერთი რამ ავიწყდებათ: თუ ბოლშევიკებმა რუსეთიდან დაირჩინეს მხოლოდ ველიკოროსია, პაწია ამიერკავკასია სამ დღეში არ გაქრება მათ ხელში? ბოლშევიკების ბანდას რაც ძალა ქონდა ოსმალეთის საწინააღმდეგოდ—[illegible] და სამარცხვინოდ გაიქცა, დღეს კი გზაში „ივერიელებს" ხვრეტს და ასე გვიუძლურებს ოსმალეთის საწინააღმდეგო ფრონტს; ასეთ პირობებში რომელ კავშირსა და ერთობაზე შეიძლება ლაპარაკი?

ამიერკავკასიის გადარჩენა არც ბოლშევიკებს შეუძლია, არც ოსმალეთს, მხოლოდ ამიერკავკასიის საკუთარი ძალა თუ გვიხსნის გაჭირვებიდან. ამიერკავკასიას ჯერ არ დაუწყია ბოლშევიკური პოლიტიკა, აქ ეროვნული გზაა დასახული და მტერს კი არ უშიშვლებთ ჩვენს ქვეყანას, როგორც ეს რუსეთში ბოლშევიკებმა ჩაიდინეს გერმანიის ნასარგებლოდ, არამედ სამშობლოს იცავენ ძალით და ნაკლები ზარალით ვცდილობთ სამშობლოს და ერის დაცვას.

ბოლშევიკური რუსეთი იმას ჩაიდენს ამიერ-კავკასიაში, რაც ჩაიდინა რუსეთში; კიდევ მეტი, აქ შეიძლება რუსის ბოლშევიკებმა მეტი ვაკხანალია გააჩაღონ ვინაიდან მათ რა ენაღვლებათ აქაური ერების ბედ-იღბალი. ამ ძალის წინააღმდეგ ყველაფერი ლაპარაკობს და ჩვენც ყველაფრით გაუწევთ წინააღმდეგობას.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია პირველი აქტია ამიერკავკასიის მთლიანობისა და თავისუფლებისა. ვინც იცნობს საერთაშორისო ცხოვრებას და გერმანიის პლანებს აზიისაკენ, მისთვის აშკარაა, რომ თვით გერმანია ლაგამს ამოსდებს ოსმალეთს საარაკო ზრდის პროცესში.

ოსმალეთი რომ ამიერკავკასიაში გაბატონდეს ეს გამოიწვევს ოსმალეთის მხრივ მთელ სპარსეთის ხელში ჩაგდებას, მაშინ აზიაში შეიქმნება ვეებერთელა იმპერია, რომელიც საშიშათ იქნება არა მარტო გერმანიისათვის, საფრანგეთისათვისაც, ინგლისისათვისაც, რუსეთისათვისაც. ოსმალეთი ძალიან კარგადა გრძნობს, რომ მას არც მისი მოკავშირენი, არც მისი მოწინააღმდეგენი არ დაანებებენ ასეთ ზრდას და ჩვენ დარწმუნებული ვართ, ოსმალეთმა რომ მთელი კავკასია ხელში ჩაიგდოს დღეს, ხვალ მას ის ბედი მოელის, რაც მოუვიდა რუსეთს მესამოცდაათე წლების ომში, როცა რუსის ჯარმა არზრუმი აიღო, მაგრამ სახელმწიფოების იძულებით ყარსი-და დაუტოვეს.

ოსმალეთს სწყურიან ჩვენთან ზავი იმიტომ, რომ ჩვენთან დადებული ხელშეკრულება საერთაშორისო საზავო კონგრესზე მეტ გარანტიას აძლევს ოსმალეთს [illegible] ის, რასაც ეხლა ჩვენვე მივსცემთ. აი ეს ინტერესია, რომ ასე რბილად ალაპარაკებს დღეს ჩვენთან ოსმალეთს.

ამიერ-კავკასიის მდგომარეობა თვით ამიერ-კავკასიისათვის არის ხელსაყრელი. ბალკანეთი რომ არ იყოს ევროპის სახელმწიფოების ქიშპობის საგანი დიდი ხანია აილაგმებოდა მათი არსებობა. ლაახლოვებით ასეთი მდგომარეობაა ამიერ-კავკასიაში. ყველა იცქირება აზიის კარისაკენ და ადვილად ის ხერხდება, რომ ეს კარი მხარე თავის თავს დარჩეს და არავის კი ხელში არ ჩაუვარდეს. საერთო ინტერესები ამართლებენ ამიერ-კავკასიის ნეიტრალიზაციას, თავისუფლებას, თვითმოქმედებას და ასეთ პირობებში არ შეიძლება ლაპარაკი არც ოსმალეთზე, არც გერმანიაზე და არც რუსეთსა და არც ინგლისზე. ამიერ-კავკასია უნდა შერჩეს და იქნება თავისუფალი ამიერ-კავკასიის ფედერაცია.

კადეტები გვეუბნებიან, რომ ამიერ-კავკასიას ურუსეთოდ ცხოვრება არ შეუძლია. რუსეთში კადეტები ამბობენ: რუსეთს უგერმანიოდ არ შეუძლია ცხოვრებაო. ვის დაუჯეროთ? ისტორია სულ სხვას გვიჩვენებს. რუსეთის ძალას ვხედავთ ჩვენკენ მხოლოდ ერთი საუკუნის განმავლობაში, საქართველო კი რუსეთზე ძველი ქვეყანაა და თუ ჩვენ ურუსეთოდ ვცოცხლობდით ოქროსა და ვერცხლის საუკუნოები, რაღა დღეს გავკოტრდებით ისე, რომ სპილენძის საუკუნეც ვერ გამოვსჭედოთ?

ჩვენ დღეს, როცა რუსების ყოველ სისინს ვისმენთ კიდევ უფრო ვდგევართ იმ პოზიციაზე, რომელზედაც დავდექით სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დაარსებისას. თვითმოქმედებაში ჩვენი ხსნა. არც რუსეთი გვიშველის და არც ერთი სხვა ქვეყანა. თუ ვიზრუნებთ ავყვავდებით, თუ ვიზარმაცებთ—დავეცემით,—აი ასეთია ახალი საქართველოს—ჩვენის რწმენით და შეხედულებით.

მეგობარი.

ქართული პრესა

გაზეთი „ერთობა" ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხს ეხება და სწერს:

„ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადასდგა. ცხრა აპრილის სხდომაზე სეიმმა მიიღო აქტი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ. ამიერიდან ჩვენი ქვეყანა, რომელიც ფაქტიურად უკვე ნოემბრის აქეთ ჩამოშორებული რუსეთს, ოფიციალურადაც დამოუკიდებელია, ის რუსეთის ნაწილს აღარ შეადგენს და საერთაშორისო ურთიერთობაში სწორუფლებიანი წევრი ხდება. ასეთია ჩვენი მდგომარეობა იურიდიულად.

მაგრამ ეს დამოუკიდებლობა ჯერჯერობით ცალმხრივი აქტია, მხოლოდ ჩვენი ნების გამოხატულებაა. და რომ სავსებით შევიმოსოთ დამოუკიდებლობის უფლებით, ამისთვის საჭიროა, რომ სხვა სახელმწიფოებმაც იცნონ ჩვენი დამოუკიდებლობა და სათანადო აქტით დაადასტურონ. ასეთია ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა.

რაზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი ბედი?

ჩვენ ვიცით, რომ ყოველგვარი უფლება ძალას ეყრდნობა. ასეთია განსაკუთრებით საერთაშორისო უფლება. რუსეთთან 1783 წ. დადებულ ხელშეკრულობის ძალით, საქართველო შინაურ ცხოვრებაში სრულიად დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო, რუსეთს მხოლოდ მფარველობა უნდა გაეწია მისთვის, მაგრამ სინამდვილეში ეს არ განხორციელდა და საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე რუსის ჯარმა სავსებით შეუერთა ჩვენი ქვეყანა რუსეთის იმპერიას და მის განუყოფელ ნაწილად გადააქცია. ამნაირად მოისპო ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რაც გამოწვეული იყო ერთის მხრით ჩვენი სისუსტით, მეორე მხრით რუსეთის იმპერიის ინტერესებით.

დღესაც იგივე შეიძლება განმეორდეს. დამოუკიდებლობა, რომელიც ჩვენ გამოვაცხადეთ, შეიძლება არ იცნონ დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა, შეიძლება, აგრეთვე იცნონ, მაგრამ მოხერხებულ დროს ისევ დაარღვიონ და არარათ გვაქციონ. მაშასადამე, საერთაშორისო ხელსაყრელ პირობებს გარდა საჭიროა აგრეთვე ჩვენი ძალა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოსულ მტრის ზედა შეეწინააღმდეგოთ და შინაური ანარქია ჩავაქროთ და წესიერება დავამყაროთ.

ერთი სიტყვით, ნაბიჯი უკვე გადადგმულია და მხოლოდ დემოკრატიის ერთსულოვნობას შეუძლია საფრთხის თავიდან აცილება".

მაგრამ სიტყვიერი აღიარება დამოკიდებულებისა ჯერ კიდევ არა ნიშნავს მის ფაქტიურ განხორციელებას. ამიერკავკასიისა და საქართველოს განთავისუფლებას პოლიტიკური მონობისაგან ბევრი მტერი შეიძლება გაუჩნდეს. აი ამ მოსალოდნელი მტრების შესახებ გაზეთი „ერთობა" სწერს:

„დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან, ბევრი მტერი გაგვიჩნდება და სხვადასხვა გზით შეეცდება ჩვენს დასუსტებას და დაუძლურებას. ასეთი მტერი იქნება პირველ ყოვლისა რუსული ბოლშევიზმი, აწ ანარქო-კომუნისტური პარტია. ჩვენ დიდხანს გვიმუშავნია იდეიურ ბოლშევიკებთან ერთად და საუბედუროდ უნდა ვსთქვათ, რომ იდეიური ბოლშევიზმი უკვე აღარ არსებობს რუსეთში. ამის დასამტკიცებლად საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ბოლშევიზმის დროშის ქვეშ აშკარათ მოიყარეს თავი სხვადასხვა უარყოფითმა საზოგადოებრივმა ელემენტებმა. ვინ გინდათ, რომ ამ დროშის ქვეშ არ იდგეს დღეს: სხვისი მამულე ყაზახები ინგუშების წინააღმდეგ იმ იმედით, რომ მიწას შეინარჩუნებენ, ინგუშები ყაზახების წინააღმდეგ, რომ მიწები ჩამოართვან; სომეხი, აფხაზი და ოსი ნაციონალისტები, ფრონტიდან გამოქცეული სპეკულიანტი ჯარისკაცები და რუსი მოხელეები და ზოგიერთი უსაქმოდ მოხეტიალე ოფიცრები, ყოფილი ჟანდარმები და უბრალო და ბრალიანი მონარქისტები—ყველანი ბოლშევიზმის დროშის ქვეშ დგანან და, ეჭვი არ არის, რევოლიუციის და თავისუფლების სხვა მტრებთან ერთად ესენი სხვადასხვა საბაბით ეცდებიან ზურგიდან დაესხან ამიერკავკასიის ნორჩ დამოუკიდებელ რესპუბლიკას. ანარქია ამა თუ იმ სახით უეჭველია თავს წამოყოფს და შინაურ ცხოვრების გახრწნას შეუდგება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთის დღევანდელი ოფიციალური წარმომადგენელი—კომისართა საბჭოც არ დარჩება გულხელ დაკრეფილი: ის დიდი ხანია ეპოტინება ამიერკავკასიას, მან ერთხელ კიდეც გამოგვიგზავნა საგანგებო კომისარი შაუმიანი და ეტყობა ჯერ კიდევ არ აუღია ხელი ჩვენში ბოლშევიკურ „საბჭოთა მთავრობის" დამყარებაზე. როგორც ვიცით, პროტესტიც კი განაცხადა ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. თუმცა სიტყვით, რასაკვირველია სადემაგოგოთ, ყველა ერებს ცხოვრების დამოუკიდებლად მოწყობის ნება მისცა. ამ რიგად, კომისართა საბჭოც ისე იქცევა ამიერკავკასიის მიმართ, როგორც თვითმპყრობელობა მოიქცა, იმ განსხვავებით, რომ თვითმპყრობელობას ჯარი მაინც ეყენა ჩვენი საზღვრების დასაცავად, ხოლო ბოლშევიკების მთავრობა პირდაპირ ხელს გვიშლის საზღვრების დაცვის საქმეში. შემთხვევითი როდია ის მოვლენა, რომ როცა ოსმალეთი ბათუმ-ყარსს მოადგა, სწორედ იმ დროს ზურგიდან დაგვეცნენ ბოლშევიკები და ბაქოს, სოხუმს და სამეგრელოს შეესივნენ".

მიუხედავად ამ დაბრკოლებებისა, ამიერკავკასიის დამოუკიდებელმა სახელმწიფომ მაინც უნდა იარსებოს,—დასძენს გაზეთი.

ნარკვევი

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, რა თქმა უნდა, ჭკუაში არ დაუჯდათ აქაურ რუს კადეტებს, რომელთა გაზეთ „ნაროდ. სვობოდა"-ს ძალიან კომიკური საბუთი მოჰყავს ამ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ:

„რაც უფრო ნაკლები კავშირი გვექნება რუსეთთან, რაც უფრო ნაკლებად მოზღვავდება რუსობა მათ უფრო მეტად დასუსტდება ქრისტიანული ელემენტი ამიერკავკასიაში, სადაც რიცხვით მაჰმადიანობა მეტია".

გამოდის, რომ ერთად-ერთი დამცველი ჩვენი კულტურული ინდივიდუალობისა ის მოზღვავებული რუსობა, იყო, რომლებმაც ბიუროკრატიული კანცელარიები აავსოს და არა თვით ჩვენი კულტურული ენერგია ესეც საბუთია!

მაგრამ კადეტების ორგანო ამით არა კმაყოფილდება ის ამით გვემუქრება. თუმცა ბოლშევიკები ცუდი დამცველები არიან რუსეთისა, მაგრამ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას მაინც არ შეურიგდებიან და ომს

გამოაცხადებენო. ეს კი მართლაც საბუთია. ჩვენ წინდაწინვე ვართ დარწმუნებული, რომ ბოლშევიკები გერმანიის წინაშე არიან მხდალები, რაიცა შეეხება პატარა ერთა თავისუფლების მოსპობას, ამაში ყოჩაღები არიან უკრაინის მაგალითმა ეს ნათლად დაგვიმტკიცა.

„ზნამია ტრუდა" გაშიშვლდა

ჩვენ დიდიხანია ვიცოდით, რომ „ზნამია ტრუდა", გაზეთი რუს. სოციალისტ-რევოლიუციონერებისა, ნამდვილი რუსული ნაციონალისტური და შოვინისტური გაზეთია და მიზნად ისახავს არა ამიერკავკასიის ერთა ინტერესების დაცვას, არამედ რუსული სახელმწიფოებრივობის განმტკიცებას, თუნდაც ეს სახელმწიფოებრიობა ამიერკავკასიის ერებს სრულს განადგურებას უქადდეს. ცნობილი ლებედევი, „რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი, რომელიც ტფილისიდან პროვოკაციონურ დეპეშებს უგზავნიდა ხოლმე რუსულ გაზეთს ჯერ ისევ ძველი რეჟიმის დროს, ეხლა ორპირი იანუსის სახით ერთის მხრით რუსულ ეროვნულ საბჭოში ჰრაზმავს ქართველი ხალხის მტრებს და მეორეს მხრით „ზნამია ტრუდა"-ში ბოლშევიკური ჟარგონით რევოლიუციონურ კორიანტელს აყენებს. ამიერკავკასიის სეიმში სადაც ყველა ერის წარმომადგენელი ზის, სადაც იმის ხმა როგორც ქართველი დემოკრატიისა, სომხური პარტიის „დაშნაკცუთიუნის" და მაჰმადიანთა წარმომადგენლებისა, გადაწყდა საკითხი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა თითქმის ერთხმად, რადგანაც ყველა ფრაქციამ დაუჭირა მხარი ამ დამოუკიდებლობას, თვითონ პარტიაც კი, როგორიც არის „დაშნაკცუთიუნის" პარტია დამოუკიდებლობას მიემხრო, რადგანაც ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული, რა საშინელებას მოასწავებდა ომის გაგრძელება დღევანდელ პირობებში, რა დიდს საფრთხეს უმზადებდა ამიერკავკასიის ერებს ომის გაგრძელება მაშინ, როდესაც ბოლშევიკურმა რუსეთმა ზავი შეჰკრა ოსმალეთთანა და გერმანიასთან.

მიუხედავად ამისა, „ზნამია ტრუდა", ეს ვითომდა სოციალისტური გაზეთი ჰქადავს და სეიმის წევრებს პოლიტიკურ ავანტიურისტებს უწოდებს. წარმომადგენლები ქართველი ხალხისა, წარმომადგენლები სომხის ერისა პოლიტიკური ავანტიურისტები არიან და „ზნამია ტრუდა" კი, რომელსაც ქართველი ხალხის სისხლითა და ცრემლით უნდოდა შეენარჩუნებინა რუსული ნაციონალისტური პოზიციები, ალბათ, ქართველი ხალხის მეგობარში არიან.

ესეც არა კმარა. „ზნამია ტრუდა"-ს შავ-რაზმელები მოუწოდებენ რუსის შოვინისტებსა და ნაციონალისტებს აქტიური გამოსვლისკენ. აი რასა სწერს ეს გაზეთი თავის მეთაურს წერილში: „ის, რაც მოჰხდა და რაც მოგველის მომავალში, რომ კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა მოხდაო ფაქტია- ამიერიდან ბრძოლა უნდა სწარმოებდეს არა სასახლეში და მის კულუარებში, არა სიტყვებისა და დიპლომატიური გზებით, არამედ აქტიური, გადამწყვეტი ბრძოლით".

როგორც ჰხედავთ, „ზნამია ტრუდა" უკვე აშკარა „პოგრომების" აგიტაციას ეწევა; იგი მოუწოდებს რუსის შავ-რაზმელებს, მოუწოდებს ყველა იმას, ვინც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგია, აქტიურად გამოვიდეს სეიმის წინააღმდეგ. ეს წმინდა წყლის პროვოკატორული მოწოდებაა და მთავრობამაც მას ბოლო უნდა მოუღოს. ვინც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგია, ის ამიერკავკასიის ერების წინააღმდეგიც არის; ვინც სეიმის წინააღმდეგ ილაშქრებს, მას ჰსურს სამოქალაქო და ნაციონალური ცეცხლი გააჩინოს თავისი ნაციონალისტური მიზნების განსახორციელებლად და ამიტომ ასეთი პროვოკატორული აგიტაცია საფუძველშივე უნდა ჩაიკლას.

ახალი მთავრობა

პირველი მინისტრი და გარეშე საქმეთა მინისტრი **აკ. ჩხენკელი**, შინაგან საქმეთა—**ნ. რამიშვილი**, იუსტიციის—**ხან-ხოისკი**, მიწადმოქმედების **ნ. ხომერიკი**, სამხედრო მინისტრი—**გრ. გიორგაძე**, ფინანსთა მინისტრი—**ა. ხატისოვი**, ვაჭრობა-მრეწველობისა—**ჰაიდარ გაჯიინსკი**, სახალხო განათლების—**უსუბეკოვი**, სახელმწიფო კონტროლიორი—**ჰაიდაროვი**, გზათა მინისტრი—**მელიკ ასლანოვი**, მზრუნველობის—**ქაჯაზნუნი**, სურსათის—**საჰკიანი**, შრომის—**ერზინკიანი**.

ყოფილი კაბინეტის თავმჯდომარის წასვლასთან ერთად ყოფილმა მდივანმა შერმანმაც ითხოვა, რომ თანამდებობიდან განთავისუფლონ, მაგრამ მისი თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული და ის თავის ადგილზე დარჩა.

ოფიციალური დეპეშები

1918 წლის 11 აპრილი, 12 საათი.

ზღვის ნაპირების მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა გარეკეს ოსმალოები ოზურგეთიდან ექადიას მთამდე.

სარაყამიშის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია.

შატილოვი.

საომარი მოქმედების შეჩერება

რადგან ამიერკავკასიის მთავრობამ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა დაადგინა განაახლოს საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან, საომარი მოქმედება შეჩერდა 10 აპრილს კავკასიის არმიის მთელ ფრონტზე. როდესაც საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ აცნობეს ოსმალეთის ფაშას ზღვის სანაპიროების მიმართულებით, უკანასკნელმა განაცხადა, რომ იმასაც მოუვიდა ოსმალეთის მთავარსარდლის ბრძანება შესწყვიტოს საომარი მოქმედება, და ნებართვა ითხოვა 500 ოსმალოს გვამების წაღებისა, რომელიც 8 აპრილს ნოტანების ბრძოლის შემდეგ ბრძოლის ველზე დარჩა.

შატილოვი.

ამიერ-კავკასიის სეიმი

10 აპრილის სხდომა.

ამ დღეს სხდომა გაიხსნა შუადღის პირველ საათზე კ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით. 31 მარტს აქეთ სეიმს სხდომები აღარ ჰქონია გართულებულ პოლიტიკურ ვითარების გამო და ამ გარემოების მეოხებით სეიმში დიდძალი წვრილმანი საკითხი დაგროვდა განსახილველად და გადასაწყვეტად.

კრების გახსნისათანავე სეიმის სამეურნეო კომისია შუამდგომლობს, რომ სეიმმა დაადასტუროს სასახლის მოსაწყობად გაწეული ხარჯი, რომელიც უდრის 210 774 მანეთს 5 კაპიკს.

გერ. მახარაძე (ს.-დ.) წინადადებას იძლევა შეიქმნას მფრინველი რაზმები ჩვენი ქვეყნის ექსცესების და უწესოებისაგან დასაცავად, თანაც აღნიშნავს, რომ ამ რაზმებმა თავიანთი მოქმედება დროებით არ განავრცელონ სოხუმის და ზაქათალის ოლქებზე.

„მუსხავათის" ფრაქცია კი იმ აზრისაა, რომ ეს ოლქებიც უნდა შედიოდნენ რაზმების სამოქმედო საზღვრებში.

სეიმი ამ საკითხის შესახებ ადგენს გადაეცეს მოსაგვარებლად და გადასაწყვეტად მთავრობას.

შემდეგი საკითხია დეპეშათა ამიერკავკასიის სააგენტოს დაარსება. სეიმი ადგენს მის დაარსებას და მთავრობის უწყებისადმი დაქვემდებარებას.

სეიმის მოსამსახურეთა შტატის გადიდებაც ერთ-ერთი იმ წვრილმან საკითხთაგანია, რომელიც სეიმმა ამ დღის სხდომაზე განიხილა. **გაჯიინსკი** თხულობს სეიმმა ამ საგანზე დამატებით გადასდოს 90,550 მანეთი.

სეიმმა დაადგინა ეს საკითხი გადაეცეს საფინანსო კომისიას, რომელსაც დაევალა სამს დღეში წარადგინოს თვისი დასკვნა.

შემდეგ სამანდატო კომისიის თავმჯდომარე **ალ. ლომთათიძე** მოახსენებს სეიმს, რომ ელლინთა საზოგადოება შუამდგომლობს სეიმში წევრად მიიღონ მისი, როგორც ერის წარმომადგენელი.

ამ საკითხის შესახებ სეიმი იზიარებს სამანდატო კომისიის დასკვნას და უარს ეუბნება ელლინებს.

მეორე კითხვა, იმავ კომისიის მხრივ წარმოდგენილი არის **საქო სააკიანის** დეპუტატობაზე უარი. საოლქო კომიტეტი ესერებისა ამოწმებს, რომ სეიმში შემოსული წერილობითი განცხადება საქო სააკიანის სახელობით ნამდვილად მას ეკუთვნის და ამიტომ მას სეიმი თავის წრიდან გასულად აცხადებს.

იმავ კომისიამ აღძრა აგრეთვე საკითხი შესახებ ისეთ წევრების, დეპუტატებისა, რომელნიც სისტემატიურად არ დაიარებიან სეიმის სხდომებზე და არც არავითარ ცნობას იძლევიან—იქნებიან თუ არა როდისმე სეიმში მუშაობის მისაღებად.

ამ საკითხს სეიმი აძლევს „ნაკაზის" შემმუშავებელ კომისიას.

სმირნოვი შუამდგომლობს, რომ ქალაქ ტფილისს მიეცეს სარგებლის გადაუხდელად ორი მილიონი მანეთი.

სეიმი მუხლობრივ იხილავს სესხის პირობებს და ამტკიცებს.

შემდეგ ამისა სეიმს უნდა განეხილა სამხედრო კომისიის კანონ-პროექტი და ამის გამო სხდომა დახურულად სწარმოებს.

ახალი ამბავი

✦ **ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ა. ი. ჩხენკელი აცხადებს, რომ საომარი მოქმედება კავკასიის ფრონტზე შესწყდა.**

იგივე ამიერკავკასიის მთავრობის სახით აუწყებს დეპეშით სხვ. და სხ. სახელმწიფოების საელჩოს უფროსს ლორინგს ვალერის: „აპრილს ამიერკავკასიის მთავრობამ დაადგინა გამოაცხადოს დამოუკიდებლობა ამიერკავკასიის ფედერატიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკის. ამას გაუწყებთ და გთხოვთ, რომ აცნობოთ ეს ტფილისში მომავალ უცხოეთის წარმომადგენლებს, რათა იმათ თავიანთ სახელმწიფოებს გადასცენ.

✦ **ქუთაისიდან** 10 აპრილს კაჩუხაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრს დეპეშით აუწყებს, რომ ყველა ლტოლვილი პოულობს თავშესაფარს ქუთაისის გუბერნიაში. და მცხოვრებლები იმათ მტრულად არ ექცევიან. ოლქის უზრუნველყოფისათვის მე მივეცი რამოდენიმე პირს წავიდეს ქალაქიდან, ამას გვკარნახებს მდგომარეობა. თუ ჩემი დადგენილება არ იქნება მიღებული მე ვიხსნი პასუხისმგებლობას.

11 აპრილს მთავრობის თავმჯდომარემ დეპეშით უპასუხა კაჩუხაშვილს: კატეგორიულად გაძლევთ წინადადებას გაუწიოთ ყოველგვარი დახმარება ბათომის ოლქის ლტოლვილებს ქართველებს და მაჰმადიანებს.

✦ **ტფილისის დამცველმა შტაბმა** შეიპყრო: სპირტიან სასმელებით მალულად ვაჭრობისათვის: მ. შავრაძე, ტ. კუკულავა 3 თვით, გ. ამიბარაშვილი, ვ. მარკოზაშვილი, ს. გეორგაძე, ლ. მიქაძე, ს. გოცირიძე, ყველა თითო თვით. ა. გალუსტიანცი 2 თვით. თ. გოგიტაშვილი ხორცის ნიხრის დარღვევისათვის 1 თვით. გ. ბეგლიაროვი ნავთის ნიხრის დარღვევისათვის 2 კვირით. მ. გასიუკინი და პ. მარკონი როგორც მავნე პირები, 2 თვით.

✦ **ორი ბავშვის გვამი** იპოვეს გერმანელების ახალშენში ორივე ბავშვი 6—7 წლის ყოფილან.

✦ **შეიპყრეს:** 18 აპრილს დილის 9 საათზე მილიციონერებმა თავის ბინაზე ერთი ყოფილი პოლიცელი გაგნიძე, რომელიც ცხინვალის აჯანყებაში იღებდა მონაწილეობას.

✦ **კერძო ცნობებიდან** გავიგეთ, რომ ოსმალეთის რეგულიარ ჯარმა და ქურთების ბრბოებმა დაიჭირეს სოფ. ბულაგ და უშლუ, ურმიის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

✦ **განჯიდან** 10 აპრილს ჯავშნიან მატარებლის უფროსი და მთავარ რკ. გზის კომიტეტის წევრი ესვანჯია გეგეჭკორს აუწყებს მთავრობის განკარგულებით მე მქონდა გადმოცემული დირექტივები რკ. გზის დაცვის. ჩვენ გვაძლევენ წინადადებას მივიღოთ მონაწილეობა ომში რაზმადაც ვერ დავეთანხმები, რადგანაც არ მიმიღია მთავრობისაგან ბრძანება.

ტფილისის მიმართულებით გზები დაშლილია, დილით ვეცდები ბოროტმოქმედები ვიპოვო და მიმოსვლა აღვადგინო. გამაგებინეთ საჭიროა თუ არა რომ მივიღო მონაწილეობა ბრძოლაში, თუ საჭიროა გამოჰგზავნეთ 1 მინისტრი ან ჯავშნიანი მატარებელი.

✦ **ქალ. გამგეობა** აცხადებს, რომ ჯარის კაცების ოჯახებს ხაზინის დახმარება უკვე ეძლევა (მარტის).

✦ **ქართველ კათოლიკეთა შორის.** ამ თვის 27 შესრულდა წლის თავი, რაც ქართველ კათოლიკეთა სათემო ყრილობამ ტფილისში დაარსა აღმასრულებელი კომიტეტი მეკავშირე საუკუნის ქ. კ. საეპისკოპოსო კათედრის აღსადგენად. მაშინ პირველ კანდიდატად ქართველ კათოლიკეთა ეპისკოპოსის კათედრაზე დასახელებულ იქმნა მ. მიხეილ ანტონაშვილი. ამ დღეებში დეპეშა მოვიდა, რომ საქართველოში ქართველ კათოლიკეთა გენერალურ ვიკარად დაინიშნა მ. მიხეილ ანტონაშვილი.

✦ **ერეკლე მეორეს გასამართლება** შაბათს, 14 აპრილს, საღამოს ქართული კლუბის თეატრში გაიმართება ერეკლე მეორეს გასამართლება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს რუსეთთან შეერთების ეპოქის მცოდნე პირები.

✦ ამიერკავკასიის ბანკის მოსამსახურეებმა, თანახმად ეროვნული საბჭოს მიმართვისა, დაადგინეს 3 პროც. გადასდონ საბჭოს სასარგებლოდ.

✦ **ქართველ სოც.-რევოლ. კრება.** 13 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ფრეილინის ქუჩაზე № 11, დანიშნულია ქართველ სოც. რევ. კრება. განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. ქართველი სოც.-რევოლიუციონერები ვალდებული არიან დაესწრონ კრებას.

სოფლად და ქალაქად

გორი.

✦ მობილიზაცია კარგად მიმდინარეობს. სოფლებიდან ბლომად ჩამოდის ახალგაზრდობა. მათ შორის არიან მეოთხე ქართული პოლკის ჯარისკაცნიც, რომელთაც თავიანთ ხელიგანობით გორში საკმაოდ ისახელეს თავი. ისინი, უეჭველია, თავისას არ დაიშლიან და წყალს დაუწყებენ მღვრევას. მათ თავიდანვე უნდა მიექცეს ყურადღება. სოფლიდან კი მიდის ჯარში ახალგაზრდობა, მაგრამ ზოგიერთის ოჯახი, მეტადრე დედისერთების, ფრიად უნუგეშოა, რადგან მამული მოუვლელი და დაუმუშავებელი რჩება. აუცილებლად საჭიროა დაარსდეს სოფლებში სამზრუნველო ან სხვა რამ კომიტეტები, რომელნიც ომში წასულთა მამულს უპატრონებენ და მოუვლიან.

✦ ბოლო დროს ხორბალი შემოდის ბაზარში, მაგრამ ოქროს ფასად აფასებენ. ნიხრი სანოვაგეზე ვითომ არსებობს, მაგრამ შემასრულებელი არავინ არის. ყველა ისე ჰყიდის ყველაფერს, როგორც თვითონ მოაპრიანება.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

დღეს, საღამოს 7 საათზე, „სახალხო საქმის" რედაქციაში დანიშნულია მთავარ კომიტეტის მორიგი კრება.

—

დღეს, 12 მარტს, საღამოს 7 საათზე, სოც.-ფედერალისტთა ბიუროში (ძველი სემინარიის შენობა, პუშკინის ქუჩა) გაიმართება სხდომა ამიერკავკასიისა და კახეთის რკინის გზის ცენტრალური კოლექტივისა. წევრებისთვის დასწრება აუცილებელია ყოველი მიზეზის გარეშე.

—

შაბათს, 14 აპრილს, საღამოს 5 ს., ს.-ფ. პარტიის კლუბში დანიშნულია ტფილისის სოციალისტ-ფედერალისტ მუშათა კავშირის გამგეობის მორიგი კრება. გამგეობის წევრებს ევალებათ აღნიშნულ დროზე მოვიდნენ.

ფედერატიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა

ამიერკავკასიის სეიმის 9 აპრილის სხდომა დიდი ისტორიული ღირებულებისა და მნიშვნელობის სხდომა გამოდგა. ამიერიდან 9 აპრილი ამიერკავკასიის თანამედროვე ერების და მათი მომავალი თაობის ხსოვნაში სიამოვნებით, აღფრთოვანებით მოსაგონარ და დაუვიწყარ დღედ ჩაითვლება, რადგანაც ამ ნეტარ დღეს არწივისებური მძლავრი ფრთები შეესხა ამიერკავკასიის ერთა სოლიდარობას, მათ შორის მტკიცე კავშირის ჩამოგდებას, ერთი საერთო ყველასათვის ადვილად შესათვისებელი ენის გამოძებნის შესაძლებლობას.

ამ დიადმა დღემ მსოფლიო ისტორიას შემატა ახალი ჩინებული ფურცლები, სადაც ამიერკავკასიის შეკავშირებულ ერთა რევოლიუციონურ დემოკრატიამ საკუთარის მძლავრი რევოლიუციონურ-სოციალისტური ხელით ოქროს ასოებით სამარადჟამოდ დააწერა ამიერკავკასიის ერთა თავისუფალ განვითარებისთვის, მათი შემოქმედებითი ენერგიის და ტემპის უმაღლეს წერტილამდის გასავითარებლად ეგზომ საჭირო და აუცილებელი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, მისი ფედერატიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის აღიარების სახით. 9 აპრილი ის ბრწყინვალე ის შარავანდედით მოსილი დღეა, რომელსაც მაღალი საკაცობრიო იდეალებით გამსჭვალული ამიერკავკასიის დემოკრატიის სულის კვეთება, მისი წმინდა მიზნები მძლავრად შეიჭრა კაცობრიობის ისტორიის სქელ წიგნში—და, იქ მედგრად აღბეჭდა თანამედროვე მძლავრ და დიდ სახელმწიფოსაგან დაჩაგრულ, აბუჩად აგდებულ თვით ევროპის პატარა ერების მოწინავე რაზმთათვისაც დღეს ეგზომ სანატრელი და საოცნებო ლოზუნგი, რომლის მდიდარი შინაარსი, რომლის თავგანწირული ყიველი ევროპის მგრძნობიარე პოლიტიკურ ჰორიზონტის წიაღში ახლო მომავალში მეგობრულ გამოძახილს ჰპოვებს.

ამიერკავკასიის ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადების წამები საუცხოვო სურათს წარმოადგენდა: მთელი ქუხილი ტაშის ცემისა, დაუსრულებელი აპლოდისმენტებ; ენტუზიაზმის მორევში შეტოპვა სეიმის წევრებისა და განსაკუთრებით გარეშე დამსწრე საზოგადოების უმეტესი ნაწილის; დემოკრატიულ ეროვნულ სოციალისტური თბილი გრძნობით აღსავსე მღელვარე თვალები; დამონებულ ერთა კეთილდღეობისათვის, რევოლიუციის, თავისუფლებისა და სამშობლოს ბერუსოვან მძიმე საპასუხისმგებლო სადარაჯოზე მუდამ ჟამს ფხიზლად ყოფნით საზოგადო მოღვაწეთა დანაოჭებული სახე—აქ წამით მაინც გახსნილიყო, მაგრამ ნაოჭების ირონიული დალი გაზაფხულის პირზე მობიბინე ბალახით აწვანებულ და ვიწრო ბილიკებით მრავლად დასერილ მთის თავისებურათ მოხეიმე აყვავებულ ფერდობს მოგვაგონებდათ...

ეს ერთის მხრით.

ხოლო მეორეს მხრით კი:

ბრაზმორეულ რუსთა და სხვა რეაქციონურ, იმპერიალისტურ სულისკვეთებით გაჟღენთილ ელემენტების (რომელთაც ბლომათ მოეყარით დარბაზში თავი) სამარისებური სიჩუმე; გარინდულ-გაქვავებული მდგომარეობა მათის მოძრავი-ცოცხალი ორგანიზმისა; მიბნედილი უსიცოცხლო, ზოგჯერ მრისხანეთ რაღაც დაფარული იმედის, მაგრამ უფრო მეტად უილაჯობისა და უიმედობის გამომხატველი თვალები; ხშირი, ხან ოდნავ, ხან კარგად გასაგონათ ჯავრიან ღვარძლიანი ბუტბუტი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, პირდაპირ მის მისამართზე წამოსროლილი შეუფერებელი სიტყვები; ახალგაზრდათა პირის სახეებზე დაღრეჯილობა და მათ შუბლზე უჩვეულო ნაოჭთა გროვა, რამოდენიმე წამის შემდეგ სახრჩობელაზე ასაყვან და ჩამოსაკიდებ ადამიანის ფიზიონომიის გამომეტყველებას წააგავდა!..

ამ შეურიგებელ მოწინააღმდეგე აზრებით, მიზნებითა და სურვილებით შეპყრობილი ადამიანები სივიწროვისა გამო ერთმანეთში დომხალივით არეულიყვნენ,—მაგრამ მიუხედავად ამისა ამ გასაოცარ სურათის არაჩვეულებრივ კონტრასტი ამით ოდნავ არ ჰკარგავდა თავის ელფერს, პირიქით ეს უფრო ორიგინალობას მატებდა მას. ვინც ამ გვარ სურათის საკვირველ კონტრასტს პირველად ხედავდა და აკვირდებოდა—ის კიდევაც დარწმუნდებოდა, რომ, მართლაც ტრაგი-კომიკური ყოფილა სამართლიანი ირონია ცხოვრებისა!..

ფედერატიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა!.. ეს სიტყვები შეიძლება ისე მძლავრათ არავის სულსა და გულს ისე არ ხვდებოდეს, ისე არავის უტოკებდეს გულს და აღფრთოვანებას არ გვრიდეს, ისე წმიდა გრძნობით არავის სულის წიაღში გამოძახილს ვერ პოულობდეს, როგორც იმ პარტიის წევრებთა შორის, რომელთა, თავისუფლების ხანაშიაც კი, მრავალჯერ შეგინებულ-შეურაცხყოფილ დატყვევებულ თავისუფლების წითელ ეროვნულ სოციალისტურ დროშაზე მუდამ ეწერა ეს დიადი სიტყვები.

დღეს, ამიერკავკასიის ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკის გამოცხადების ჟამს, საქართველოს ყოველი სოფლის მშრომელი ხალხი სინანულით უნდა იხსენიებდეს და იგონებდეს იმ გაუგებარ, მისთვის გაურკვეველ წამებს, როდესაც ის მიტინგებზე ტრიბუნიდან თავისუფალ სიტყვის ნებას არ აძლევდა, ნაჯახითა და თოხის ტარებით მოსდევდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის წევრებს იმ აზრების, იმ ლოზუნგის, იმ ფედერატიულ დემოკრატიული რესპუბლიკის მდიდარი შინაარსის ბუნების გასაცნობათ და მასაში გასავრცელებლად, რომელიც დღეს,—ამ საერთო უბედურებისა და ამიერკავკასიის დემოკრატიის კრიტიკულ წამებში, მას დაღუპვისაგან სახსნელად ერთადერთ მიზანშეწონილ საშუალებად აღიარა და სცნო საქართველოსა და ამიერკავკასიის დემოკრატიის ლიდერებმა სეიმში.

დროა დღეიდან მაინც ჩაუკვირდეს ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი რაიონების მცხოვრებნი სამარცხვინო წარსულს, ახლო წარსულში ჩადენილს. დროა მომავალში მაინც არ დაუშვას შეუწყნარებელი შეცდომანი და შეცოდებანი ქართველმა ხალხის ნაწილმა იმ პარტიის წინაშე, რომლის წევრებს ქართველი ხალხის გაბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლის დროს ესოდენი მათრახი და თოხ-ნაჯახთა ტარები მოხვედრია ზურგზე, თვით ჩვენი ხალხის ელემენტებისაგან, რომლის მომავალ მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველსაყოფად მზად არის ამ პარტიის თითოეული წევრი, მომავალშიაც ბევრი სხვა უფრო მძიმე დამცირება, შეურაცხყოფა აიტანოს, ოღონდ სცოცხლობდეს, არსებობდეს თავის ტერიტორიაზე ქართველი ერი ისე, როგორც შეშვენის თავისუფალ ერს, რათა თავისუფლად განავითაროს საკუთარი შემოქმედებითი ნიჭი—და მით დაუმტკიცოს კაცობრიობას, რომ პატარა ქართველი ერიც მისი ღირსეული და პატივსაცემი წევრია.

ცუცუ თოფურიძე

ქალებო, გამოფხიზლდით!

მიკვირს და ვერც გამოვსულვარ გაკვირვებისაგან, თუ რა არის მიზეზი ჩვენი ქალების ასე დაჩუმებისა, ასე დალაჩრებისა. ავადმყოფობისა გამო მოკლებული ვარ საშუალებას მონაწილეობა მივიღო საზოგადო საქმეებში. ვადევნებ თვალყურს გაზეთს და გულის ფანცქალით მოველი გავიგო, თუ რას შვრებიან ჩვენი ქალები, როგორ უხვდებიან დღევანდელ მომენტს, რით აპირებენ მამაკაცების დახმარებას, რით აპირებენ შველას ჩვენი დიდებული წინაპართა ძვლებით მორწყულ სამშობლოს დასაცავად, მაგრამ ამაოდ, იმათ სძინავთ, ჯერაც ვერ გამოფხიზლებულან, ჯერაც ვერ დაუთმიათ თავიანთი უსაქმურობა და მოდებზე ფიქრი რამდენი წერილი წავიკითხე ქალებისადმი მოწოდებისა, მაგრამ ჰოი აგცილდეთ, ამ წერილებს არც ერთი არ გამოეხმაურა, ერთმაც ვერ გაბედა ეთქვა ის, რაც ჩვენ ძველ ქართველ ქალებს საერთოთ საქმით უკეთებიათ. ქალებო, დროა გამოფხიზლდეთ! აღარ არის დრო ძილისა, შეიგნეთ დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა, შეიგნეთ ის მაინც, რა მოგელით, თუ ვინიცობაა მტერმა გაიმარჯვა.

ნუ თუ დავიჯერო, რომ მთლად გამქრალა თქვენში გულადობა ძველი ქართველი ქალებისა, რომლებიც დროშით ხელში წინ უძღოდნენ თავიანთ შვილებს და მამებს? ნუთუ მთლად გააშრო ქართველის სისხლი თქვენში მრავალ წლობით მონობამ? ნუთუ მთლად გადაგაგვარათ რუსეთის დესპოტიზმმა და ან მთლად გადაგავიწყათ პარიზის მოდებმა სამშობლოს სიყვარული? არა მჯერა. გული, თუ კი იგი გაქვთ, გაძლევთ კი ნებას სხვა რამეზე ფიქრისას მაშინ, როდესაც ჩვენი ძმები, ქმრები, მამები, შვილები, ცხელ ტყვიას გულმიშვერილნი იბრძვიან ჩვენი სამშობლოს დასაცავად? ნუ არცხვენთ ძველი ქართველების სახელს, გამოიჩინეთ გამბედაობა, შემოკრბით ერთად, ჩაებით მამაკაცების ფერხულში, გაბედეთ იმათთან ერთად მუშაობა, გაჰყევით თქვენც ზოგი დაჭრილთა მოსახმარებლად, ზოგი სურსათის მისაწოდებლად, ზოგი სისუფთავის დასაცავად. რად გავიწყდებათ, რომ თქვენც არსებობთ, თქვენც შეგიძლიათ დაეხმაროთ თქვენს ძმებს სამშობლოს დაცვაში.

გამოდით ქალებო, გამოდით კარჩაკეტილობისაგან, ნუ ხართ დაჩუმებული, არ არის დრო დაჩუმებისა, გაანძრიეთ ხელი, გადადგით გაბედული ნაბიჯი, დაიმსახურეთ ის ქება-დიდება, რაც ჩვენს წინაპრებს დაუმსახურებიათ! ისახელეთ თავი, რომ ისტორიამ ზიზღით არ მოგიხსენიოთ. შეუწყეთ ხელი თქვენს ძმებს, ვაჟკაცობა ჩაუნერგეთ გულში ზოგიერთ მხდალ ვაჟკაცს, სამშობლოს სიყვარული ასწავლეთ, გაიწვიეთ საბრძოლველად და უთხარით: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი"-თქო.

აბა, თუ ჩაუკვირდებით დღევანდელ მდგომარეობას, თუ შეიგნებთ მომენტის სიდიადეს და გაუწევთ ანგარიშს თქვენს თავს. მაშ, ასე, ქალებო, ჩვენ ძმებთან ერთად! ნუ შეგაშინებთ სიკვდილი, ვინაიდან სჯობს გავსწყდეთ სუყველანი, ვიდრე შევურიგდეთ თავისუფლების დაკარგვას.

მაშ, გასწით უშიშრად, ვისაც ამის საშუალება გაქვთ, ვისაც რამე გიშლით ხელს, იმისათვის აქაც არის აურებელი საქმე.

მარო.

ამიერკავკასიის რუსებს

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, უეჭველია, ბევრს არ მოეწონება. ბევრი ეცდება ეს აქტი გააცნოს რუსებს, როგორც ანტირუსული აქტი. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მთელის ჩვენის წრფელის გულით ვაგრძნობინოთ ამიერკავკასიის რუსობას, მრავალრიცხოვან დემოკრატიას რუსის მოდგმისას, რომ არავითარი ღვენას,

არავითარ უფლებრივ შეზღუდვას არ ექნება ადგილი ამიერკავკასიის დემოკრატიულ სახელმწიფოში. დაე შავრაზმელების, ნაციონალისტების სისინი ოდნავადაც ნუ შეარყევს რუსის მცხოვრებთა შორის იმ რწმენას, რომ ამიერკავკასიის დემოკრატია მტკიცე დარაჯად უდგება იმ რუსთა ინტერესების დასაცავად, რომელნიც მოისურვებენ და თავიანთ თავს ამიერკავკასიის სახელმწიფოს მოქალაქებად გამოაცხადებენ.

რა თქმა უნდა ისეთი მოხელენი, რომელთაც არა ჰსურთ ამიერკავკასიის სახელმწიფოს სამსახურში დარჩნენ, თავისუფალნი არიან თავიანთ არჩევანში, მაგრამ ის, ვინც თავის თავს ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს მოქალაქედ ჩასთვლის, სრულ-უფლებიანი წევრი იქნება ამიერკავკასიის ერთა ძმური კავშირისა და ამიერკავკასიის დემოკრატია საუკეთესო გარანტია უნდა იყოს იმისა, რომ ამ უფლებებს ვერავინ შეუზღუდავს ამიერ კავკასიის რუს მცხოვრებლებს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ათასნაირი ბნელი ელემენტები მოისურვებენ ეჭვების დათესვას ამიერკავკასიის რუსობაში, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პროვოკატორები და კონტრ-რევოლიუციონერები შეეცდებიან აამხედრონ აქაური რუსობა ამიერკავკასიის ერთა წინაალმდეგ. ჩვენ ამაში ღრმად ვართ დარწმუნებულნი და ამიტომ მოუწოდებთ ამიერკავკასიის რუსებს:

არ აჰყვეთ გულისთქმას; არ აჰყვეთ პროვოკაციას; არ დაუჯეროთ იმათ, ვინც შხამსა და გესლს დასთესავს თქვენს შორის!..

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა დაჰბადა თავისუფლების სიყვარულმა და თავისუფლების მოტრფიალეთ კი ვერ შეუძლიანთ დაადგნენ ეროვნულ შეზღუდვის ნიადაგზე.

ნიკ. ჯანაშია

(ნეკროლოგი).

შეუბრალებმა სიკვდილმა ამ დღეებში კვლავ მოგვტაცა ერთი შევნებული წევრი ჩვენის საზოგადოებისა, გულწრფელი და უანგარო მოჭირნახულე ქართულ საქმეებისა. სოხუმში გარდაიცვალა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგე ნიკ. ჯანაშია.

განსვენებული დაიბადა აფხაზეთში, სოფ. ძვიბაგაში (შიგა-წყალში). მამა მისი აფხაზეთში სამეგრელოდან იყო გადმოსული, ხოლო დედა მისი აფხაზის ქალი იყო. მამით მალე დაობლებულს ბავშვს სოხუმში ზრდიდა მისი ბიძა პეტრე ჟანეშია. 14 წლისამ დამთავრა სოხუმის მთიელთა სკოლა პირველ მოწაფედ. ნაცნობ მეგობრების რჩევით და დახმარებით აქედან 1888 წელს შევიდა გორის საოსტატო სემინარიაში. სემინარიაში თავის წლოვანებისათვის არაჩვეულებრივის სიდარბაისლის და ნიჭიერს ბავშვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ დროის სემინარიაში ქართულის მასწავლებელმა, აწ განსვენებულმა, ნიკ. ლომოურმა. საქმე ის იყო, რომ განსვენებულმა ჯანაშიამ, როგორც სოხუმის მთიელთა სკოლაში ნასწავლმა, ქართული წერა-კითხვაც კი არ იცოდა. და სემინარიის მთავრობაც ისე უყურებდა, როგორც აფხაზს, რომელსაც ქართული არ უნდა სცოდნოდა და არც ესწავლნა. ნ. ლომოურის რჩევით, განსვენებული შეუდგა ქართულის სწავლას. მაგრამ მთავრობა წინ გადაუდგა მის სურვილს. საქმეში ჩაერია ნ. ლომოურიც მთავრობამ ნ. ჯ.-ას ქართული ენის შესწავლის ნება იმ პირობით დართო, თუ სხვა საგნებში ხუთიანი ექნებოდა. ნ. ჯ.—ომ [illegible], რომ სხვა საგნებში ხუთებზე [illegible] და ქართულშიაც ამხ ნიჭს დაეწია. ამის შემდეგ ნ. ლომოურს უფრო გადიდელა საქმე და თითქმის მარტოდ-მარტო ჩვენს საყვარელს მწერალს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ნ. ჯ. შემდეგში ქართველ მწერლებს მხარში ამოუდგა და ქართულ საქმეებს შეენებულ და ნიჭიერ მესვეურად გაუხდა.

სემინარიაც თვალსაჩინო მოწაფედ დაასრულა და მაშინვე მასწავლებლად გაეწესდა სოფ. მაკვანეთში (გურიაში) აქვე მოეკიდა ოჯახს და სამი წლის შემდეგ გადმოვიდა სოფ. [illegible]ეთში (აფხაზეთში). აქ ორიოდე წელს დარჩა და ეხმარებოდა ჩვენის [illegible] გამოღვიძების და ქართველთა [illegible] რუსის ადგილობრივის ადმინისტრაციის მიერ მოტანილ იერიშების მოგერიებაში შველოდა ერთ მუჭა მეთაურებს ქართულ საზოგადოებისას. გუდაუთიდან ნ. ჯ. გადმოდის მასწავლებლად ძველ-სენაკში ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სკოლაში ხოლო ძველ-სენაკიდან 1910 წ. ჩააბარეს სოხუმში გახსნილ ქ. შ. წ.-კ. სა—ბის სკოლის გამგეობა. რა თანამდებობასაც სიკვდილამდე შერჩა...

ძველ-სენაკში მასწავლებლობის დროს განსვენებულმა, როგორც ზედ მიწევნით მცოდნემ აფხაზთა ცხოვრებისამ, ჟურნალ „მოამბეში" დაიწყო ბეჭდვა აფხაზების შესახებ საეთნოგრაფიო წერილებისა. ეს წერილები დღემდე ამშვენებს ჩვენს მწერლობას. ყოველს სტრიქონს ეტყობა ღრმა ცოდნა აღებულ საგნისა და არამც თუ ქართულ ლიტერატურაში, თვით რუსულშიაც ბადალი არა აქვს.

სოხუმში დაბინავების შემდეგ განსვენებული ხშირად ათავსებდა „სახალხო ფურცელში" (აწინდელი „სახალხო გაზეთი") მეტად საინტერესო წერილებს აფხაზ-მეგრელთა ურთიერთობის შესახებ, „ჰამუმ-ბეი"-ს ფსევდონიმით.

განსვენებულს დარჩა ქვრივი და ერთი ვაჟი.

თ. სახოკია.

ნიკო ჯანაშიას ხსოვნას

ქართველ მუშაკთა მცირე რიცხოვან ჯგუფს კიდევ ერთი წევრი დააკლდა. გადაგვეცვალა სათნო ნიკო ჯანაშია. გაზეთებში უკვე აღნიშნული იყო მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა. მე მსურს ორიოდე სიტყვით აღვნიშნო მისი მუშაობა სამეცნიერო ასპარეზზე. ოცი წელზე მეტია, რაც მან მუშაობა დაიწყო უმეტესად საეთნოგრაფიო ეარგში: ჰკრებდა და ათავსებდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ფრიად საინტერესო და ძვირფასს საეთნოგრაფიო მასალებს ნამეტურ აფხაზეთისა და აფხაზების ცხოვრებიდან. უმთავრესი მისი სტატიები შემდეგია: 1. „აფხაზები. ეთნოგრაფიული მასალები" („მოამბე 1897, №№ 2, 5, 11 1898, №№ 7, 11; 1899, №№ 4; კრებული 1898, № 8; 1899, № 4), 2, „შელოცვები" (შეკრებილი სოფ. მაკვანეთში, გურიაში. კრებული 1897, № 1), 3, „გურული ლექსები" (მოამბე 1896, № 4), 4, „აბრსკილ" (ამირანი). აფხაზური ლეგენდა (კრებული 1898, № 5). პირველი სტატია ამ ორი წლის წინად შეავსო, გადააკეთა და დაბეჭდა რუსულად „Христіанскій Востокъ"-ში.

განსვენებულ ნიკოს კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო, დიდი-დიდი 50 წლის თუ იქნებოდა და მით უფრო სამწუხაროა მისი გარდაცვალება. დგება ისეთი დრო, როდესაც მეცნიერულ კვლევა-ძიებას მშობლიურ ნიადაგზე გზა ეხსნება, მცირე წვლილის მიმტანსაც კი დიდი მნიშვნელობა ეძლევა. განსვენებულმა ნიკომ თავისი წვლილი მიიტანა სამეცნიერო სამსხვერპლოზე და არც დაივიწყებს ამ ღვაწლს მეცნიერება.

საუკუნოდ იყავ ხსენება შენი, მუშაკო ნიკო!

ი. ყიფშიძე.

მუშათა წერილები

დამოუკიდებელი გზით.

დიდიდან რევოლიუციის დაწყებისა ერთი ნაწილი ქართველი ერისა მოითხოვდა ერის საარსებო საკითხების დაუყოვნებლივ გადაწყვეტას. ამ ნაწილს ხშირად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ერთი საუკუნის ჩაგვრამ მთლად დაუძლურა ერი და საშველოდ განადგურებას უქადოდა ამ ერს, რომელსაც მისი მაღალ საუკუნოვანი კულტურა უფლებას აძლევდა სხვა კულტურიან ერებთან ერთად [illegible] შენება მთელი კაცობრიობის იდეალებისათვის.

ეს ნათელი იყო მხოლოდ ერთი ნაწილისათვის და სრულებითაც არ იყო ნათელი ერის უმეტესი ნაწილისათვის. ერის საარსებო საკითხების გადაჭრა, მისი დაყენება დამოუკიდებელ გზაზე—ეს მეორე რიგში იყო მოთავსებული და პირველხარისხოვან საკითხად კი მთელი რუსეთის დემოკრატიის და მთლიანი რუსეთის ინტერესები იყო გამოცხადებული.

დამოუკიდებელი გზა ამიერკავკასიისა და ქართველი ერისათვის იყო გადადებული.

მომავალმაც არ დააყოვნა. მთლიანი რუსეთის სამსახური უნაყოფო გამოდგა, რადგან მისივე მკვიდრმა შვილებმა უარყვეს მთლიანი რუსეთი და „კეთილი სურვილით" მოაწერეს ხელი რუსეთის დაუძლურებას. ამ გარემოებამ ცხადად დაანახვა ყველას, რომ აუცილებელი იყო დამოუკიდებელი გზით სვლა, უარყოფა ძველი გეგმისა და ახალი გეგმით ხელმძღვანელობა.

დიდი ბრძოლის შემდეგ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებმა გაიმარჯვეს და დღეს ჩვენს წინაშე ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა არის. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არ არის უკანასკნელი სიტყვა „დამოუკიდებელი გზისა". ამიერკავკასიის ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადება კიდევ არ მოასწავებს ქართველი ერის საარსებო საკითხის გადაჭრას: ეს შეიძლება მხოლოდ მის პირველ საფეხურად ჩაითვალოს. ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავარი მიზანია, რასაკვირველია, ერების ისეთ კალაპოტში ჩაყენება, რომელიც საშუალებას მისცემს მათ აწარმოონ საერთო ძმური ცხოვრება, ყოველისავე შუღლის და მტრობის გარეშე. ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის ინტერესები მოითხოვს, ისე მოგვარდეს ამ ფედერაციის შემადგენელი ნაწილების მდგომარეობა, რომ მომავალში არ ჰქონდეს ადგილი მტრულ ურთიერთობას ერებს შორის, მათი ინტერესების შეჯახებას და აქედან წარმომდგარ ბრძოლას. და ეს კი უთუოდ მოხდება, თუ თვითეული ერის ინტერესები არ იქმნა დაკმაყოფილებული.

ამისათვის, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას ახლო მომავალში კიდევ ერთი ნაბიჯი უნდა მოჰყვეს: შემადგენელი ნაწილების ეროვნულ-ტერიტორიული გამიჯვნა.

მხოლოდ ეს მისცემს ამიერკავკასიის ერებს კულტურულ ცხოვრების საშუალებას და ქართველი ერიც არ ულალატებს თავისი მრავალ-საუკუნოვანი კულტურის ცნებებს და კულტურული მუშაობის განახლებით ამოუდგება გვერდში თანამედროვე კაცობრიობას და საერთო, საკაცობრიო კულტურისა და იდეალებისათვის გააცხოველებს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, განაახლებს თავის მუშაობას.

მუშა წ. ხარკინელი.

წერილი ახალციხიდან

ახალციხის ქართველ ჯარის კაცთა საბჭოზე მცხოვრებლები დიდ იმედს ამყარებდნენ, მაგრამ იმედები გაცრუვდა: სამი თვის განმავლობაში საბჭომ ვერ შესძლო დისციპლინის აღდგენა ჯარის კაცებში. თავისი ყოველი დადგენილებები მარტო ქაღალდზე დარჩა და დღემდის არაფერი მოუყვანია სისრულეში. დისციპლინის აღდგენის მაგიერ ეხლა თვით საბჭო ერევა გენერალ არჯევანიძის საქმეებში და ამით მას ხელს უშლის წესიერების დამყარების ჯარის კაცთა შორის, ურომლისოდაც დაღუპვას უქადის საერთოდ სამშობლოს თავისუფლებას და კერძოდ ახალციხის და მის მაზრის თავდაცვას.

—

ანარქიამ ისე მაგრად მოიკიდა ფეხი, რომ დიდი უკმაყოფილება დაჰბადა ყველას წრეში. ეს ადვილი გასაგებია: არ არის პური, არ არის ფულიც, და ამას დაუმატეთ ღია ფრონტი და კარზე მომდგარნი შინაური თუ გარეშე მტრები.

—

არ იქმნა და არა, არ ელება ბოლო ძარცვა გლეჯას ქალაქში და მაზრაში. ამას პირველად ვჩავდივართ ჩვენ, ქრისტიანები, შედარებით მაჰმადიანებთან, კულტურით მაღლა მდგარნი და საერთაშორისო წესების მქადაგებელნი და დამცველნი. ამ უპატიოსნო საქმეს ჩავდივართ იმ დროს, როდესაც თავისუფლება და სამშობლო სწრაფი ტემპით მიექანება დაღუპვისაკენ.

თითქმის არ გავა დღე, რომ ახალციხეში არ მიჰყავდეთ ქრისტიანებს მაჰმადიანთა ოთხფეხი საქონელი, ამიტომ მაჰმადიანებიც თავის მხრით ესხმიან ქრისტიანების სოფლებს და მიჰყავთ საქონელი. მკითხველი ადვილად მიხვდება ვინ ზარალობს და ვინ სარგებლობს. რა თქმა უნდა ზარალი მოსდის მხოლოდ გლეხ ქრისტიანებს და მათ მუშა ხელს, ისინი ჰკარგავენ ოფლით შეძენილ საქონელს და ესპობათ საშუალება განაგრძონ ყანების ხვნა-თესვა. სარგებლობენ-კი ქალაქის ნაძირალები და ცოტად თუ ბევრად მთელი ქალაქის მცხოვრებელნიც, რომლებიც გამოტაცებულ საქონლის ხორცს ყიდულობენ გირვანქას 1 მან. 20 კაპ., 2 მან. და 2 მან. 50 კაპ. მაგიერ. ამ ნიადაგზე მაჰმადიანებმა 7 აპრილს დაეცნენ სომხების სოფელ წირას და გაიტაცეს მთელი სოფლის ოთხფეხი საქონელი. ამ დროს თოფის სროლის ხმაც კი მოდიოდა ახალციხეში.

7 აპრილსავე საღამოს უეცრივ ხმა გავრცელდა, მაჰმადიანები, აჭარლებით დასავლეთის მხრივ ახალციხეზე მოდიანო, მთელ ქალაქში შეიქმნა ზარების რეკვა, ქალების და ბოვშვების წივილ-კივილი და ზარბაზნებმა კიდევ იგრიალეს. მცხოვრებლებმა მთელი ღამე შიშით და კანკალით გაათიეს, ყოველ წუთს ელოდნენ მაჰმადიანების და აჭარლების შემოსევას და მათ მიერ ქრისტიანების ამოჟლეტას. გათენებისას-კი გამოირკვა, რომ ასიოდე შეიარაღებული ცხენოსანი მაჰმადიანი აბასთუმნიდან მიდიოდა სოფელ აწყვერში. ეს შეუმჩნევიათ სომხის 25 დე სომხის ცხენოსან მზვერავებს და 5 ვერსის მანძილიდან აუტეხიათ სროლა. ამან გამოიწვია მთელ მაჰმადიანთა სოფლების ფეხზე დადგომა. ჩვენებმაც მოჰკიდეს ხელი იარაღს. თუმცა მაჰმადიანებმა ამ ღამეს დასწვეს 4—5 ათასი ტყვია, მაგრამ ჩვენებს შედარებით ამ რიცხვთან ბევრი არ დაუწვავთ.

ნათლად სჩანს და დასამალი აღარ არის, რომ ჩვენ—ქრისტიანებს არა გვაქვს კარგი ორგანიზაცია და ეს უორგანიზაციობა რას მოგვიტანს, ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუმცა წინ და წინ ვიცით, რომ კარგს არ უნდა ველოდეთ.

8 აპრილმა წყნარად ჩაიარა. რა რა იქმნება შემდეგში შეგატყობინებთ ცალკე.

არა მეხსი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09 1032

ქართული არავჯიშო საზოგადოებ
„ამირანი"
დაარსებული ქართ. სამხედ. კავშირის მთავარ კომიტეტის მიერ, იწვევს ყველა ქართველს, ორივე სქესის, საგიმნასტიკო სამხედრო ვარჯიშობისთვის, რადგანაც ერის ფიზიკურად მაგარი სხეული, ძლიერია სულიერადაც.
მოწაფეები მიიღებიან 15 წლიდან. გადასახადი 50 კაპ. თვეში. სწავლა სწარმოებს კვირაში ოთხი დღე. სამშაბათობით და პარასკევობით ვაჟთათვის, ოთხშაბათობით და კვირაობით ქალთათვის. კვირაობით სწავლა იწყება დილის 11½ ს. 1-მდის, დანარჩენ დღეებში საღამოს 6½ ს. 8 მდის. ბინა: ტფილისი სასახლის ქუჩა, ქართული კლუბის შენობა.
ქართ. მ. კ. მ. კომიტეტი.

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებს საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 37, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანშვილისა. ტელეფ. 5—11. 1030

ქ. ქუთაისში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეჩხანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოვე დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი
ვ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და ხახის სნეულებიანს სპეციალისტ-რად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის" პირდაპირ. 1029

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმ.)
ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ს. გ. აგახანოვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. გ ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საბებიო ავადმ.
მ. მ. ზენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

სტამბა
„სახალხო საქმე"
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14.

„სახალხო საქმე"-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" მხოლოდ მეორე ტომ.	3 მ.	
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I	4 „	
გრდემლი წ. I	3 „	
ქართველი მწერლები.	2 „	
უცხოეთის „	2 „	
შიუკაშვილი—„მეგობრობა".	—	60 კ.
ჯანაშვილი—„თამარ მეფე".	1 „	20 „
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო".	—	40 „
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი".	—	50 „

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".

სტამბა „სახალხო საქმე", ბარონის ქუჩა № 14